სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 10 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *აიგნერი ავსტრიის წინააღმდეგ – განაცხადი 28328/03*

აპლიკანტი ჯონ აიგნერი ავსტრიის მოქალაქეა, დაიბადა 1954 წელს და ცხოვრობს გრაცში. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილებზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაუპატიურების ბრალდებით, უსამართლოდ მიმდინარეობდა. განსაკუთრებით, განმცხადებელი ჩივის, რომ სასამართლომ არ მისცა საკვანძო მოწმის შემდგომი დაკითხვის უფლება, რომელიც მის წინააღმდეგ იძლეოდა ჩვენებას და რომლის ჩვენების საფუძველზეც მას მიუსაჯეს 4-წლიანი პატიმრობა 2003 წლის აპრილში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები.

- *ა.ლ. ავსტრიის წინააღმდეგ – განაცხადი №7788/11*

აპლიკანტი ტოგოს მოქალაქეა, დაიბადა 1988 წელს და ამჟამად ცხოვრობს ზალცბურგში. 2008 წლის ნოემბერში იგი ჩამოფრინდა ვენაში და მაშინვე მოითხოვა თავშესაფარი. 2010 წლის მაისში მისი განაცხადი არ დაკმაყოფილდა და გაიცა განკარგულება გაძევებაზე. განმცხადებელი, რომელიც იყო ტოგოს ოპოზიციური პარტიის წევრი, ირწმუნება, რომ, მისი ტოგოში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება დევნა და შესაძლოა, მოკლან კიდეც. იგი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიემართა დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რაც გულისხმობს განჩინების საბოლოო ძალაში შესვლამდე ან სხვა განკარგულებამდე აპლიკატის გაძევების პროცესის შეჩერებას.

- *რაჰმანი და დინევა ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №20116/08*

აპლიკანტები ბულგარეთის მოქალაქეები არიან და ცხოვრობენ სტარა ზაგორაში. ისინი დაქორწინებულნი არიან და ჩივიან ბატონი რაჰმანის დაპატიმრების განკარგულების გაუქმების თაობაზე, რომელიც სახელმწიფოში უკანონოდ ყოფნის საფუძვლით იყო დაპატიმრებული. კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებლები მიუთითებენ, რომ არ არსებობდა პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების ეფექტური სამართლებრივი ზომები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 3.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2.270 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *მადაჰი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45237/08*

აპლიკანტი მუჰამედ მადაჰი ირანის მოქალაქეა, მისი პარტნიორი მარია კერკენეზოვა და მათი შვილი დანიელ მუჰამედ რასულ მადაჰი, ორივე ბულგარეთის მოქალაქეები არიან. ისინი დაიბადნენ 1965, 1973 და 2006 წლებში. 2001 წელს მუჰამედ მადაჰს მიეცა რა ბულგარეთში მუდმივი ცხოვრების უფლება, იგი შეხვდა და ერთობლივი ცხოვრება დაიწყო ქალბატონ კერკენეზოვასთან, რომელთანაც შეეძინა ვაჟი, მესამე განმცხადებელი. 2005 წლის დეკემბერში გაიცა განკარგულება მისი გაძევების თაობაზე ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, კერძოდ, იგი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობაში და ქურთთა სეპარატისტული დაჯგუფების დაფინანსებაში. გაძევების თაობაზე გაცემული განკარგულება ძალაში დატოვა უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომაც 2008 წელს და მის წინააღმდეგ აღძრული საქმის განხილვა დღემდე მიმდინარებს. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ დეპორტაციის განკარგულება არღვევს კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლების მოთხოვნებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები. განმცხადებლების სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 2.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ლიარტისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №16906/10*

აპლიკანტი საბერძნეთის მოქალაქეა, დაიბადა 1968 წელს და ამჟამად იმყოფება ციხეში. მას აქვს ტვინის სიმსივნე და აწუხებს ზურგის ტკივილი. განმცხადებელი ჩივის, რომ ვერ იღებს ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას და მიუთითებს, რომ არაეფექტური ზომების გამოყენებით მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლები და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 12.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის საანაზღაურებლად, ხოლო 369 ევროს გადახდა ხარჯების და დანახარჯების დასაფარად.

- ***Sud Fondi Srl and Others** იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №75909/01*

აპლიკანტები იტალიური კომპანიებია. 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტებს თვითნებურად ჩამოართვეს აქტივები, რითაც დაირღვა კონვენციის მე-7 მუხლის და პირველი ოქმის I მუხლი. განმცხადებლებმა 41-ე მუხლზე დაყრდნობით მოითხოვეს სამართლიანი დაკმაყოფილება.

მატერიალური ზიანის დასაფარად სახელმწიფოს დაეკისრა 37.000.000 ევროს, 9.500.000 ევროს და 2.500.000 ევროს გადახდა თითოეული კომპანიისათვის.

- *რ.ი.პ. და დ.ლ.პ. რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №27782/10*

აპლიკანტები არიან და-ძმა, რუმინეთის მოქალაქეები, რომლებიც დაიბადნენ 1997 და 2000 წლებში და ცხოვრობენ სლატინაში. ვინაიდან, განმცხადებლები არასრულწლოვნები არიან, დედის სახელით მიმართეს სასამართლოს და იჩივლეს არაეფექტური გამოძიების თაობაზე, რომელიც ეხებოდა მათი დედის გაუპატიურების ფაქტს, რომელიც 2004 წელს ჩაიდინა ბავშვების მამის მამამ, როდესაც გოგონა იყო 7 წლის, ხოლო მის პატარა ძმა სამი წლის. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებლები ჩივიან, რომ გამოძიება გაჭიანურებით წარიმართა, რომელიც 2011 წლამდე გრძელდებოდა, მიუხედავად მთელი რიგი მტკიცებულებებისა, სექსუალური აგრესიის მტკიცებულებების ჩათვლით და ასევე ჩივიან იმის თაობაზე, რომ გამოძიება მათ არ ატყობინებდა ძიების შედეგებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 65 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ბეზრუკოვები რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №34616/02*

აპლიკანტები ლუდმილა და ირინა ბეზრუკოვები დედა-შვილი არიან, რომლებიც დაიბადნენ 1950 და 1976 წლებში და ცხოვრობენ ვორონეჟში (რუსეთი). განმცხადებლები ჩივიან, რომ 2004 წლის დეკემბერში მათ სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა ერთ-ერთი რუსული ბაკის მიერ მატი შენატანების დაბრუნებას, არ აღსრულდა გონივრულ ვადაში და გადაიდო 2006 წლის მარტში, როდესაც გასაჩივრების ვადა გაიზარდა. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი და პირველი ოქმის I მუხლი. განმცხადებლების სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 24.490 ევროს და 32.931 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის დასაფარად; თითოეულისთვის 2.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, და 880 ევროს გადახდა ერთობლივად ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ჩელიკიდი რუსეთის წინააღმდეგ – №35368/04*

აპლიკანტი ლარისა ჩელიკიდი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს გეორგიევსკში. 2001 წელს მან სამოქალაქო სარჩელით მიმართა სასამართლოს კოლმეურნეობის ფერმის წინააღმდეგ და მოითხოვა 100 ტინა მზესუმზირის მარცვლის დაბრუნება, რაც შეთანხმების ნაწილი იყო. შემდგომში მან კომპენსაცია მოითხოვა ფინანსთა სამინისტროსგან და მიუთითა, რომ საქმის განხილვა გაჭიანურებით მიმდინარეობდა. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *კოცევი და ერმენკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №33864/03*
- *ციგანკოვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №27552/08*

აღნიშნულ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან, რომ მათი სამოქალაქო საქმეების განხილვები ეროვნულ სასამართლოებში მიმდინარეობდა გაჭიანურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.